ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97.9722182001**
თარიღი:**01/07/2022**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომა N-08

დ. ლენტეხი. 24/06/ 2022წ

მიმდინარე წლის 24 ივნისს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 14(თოთხმეტი) წევრი.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბერდია ჩანქსელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან ფიცხელაური, მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ლევან ლიპარტელიანი, იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე, მერის წარმომადგენლები ტერიტორიულ ერთეულებში, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი და დამხმარე სპეციალისტი ანა მუკბანიანი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხ. ქ. ფიცხელაური/

2. .ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხ. ლ.ლიპარეტელიანი/

3. ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაბა ლენტეხის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვიფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N-07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხ. ტ. აფაქიძე/

4. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გახაკვეთის განსაზღვრის და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტისN-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მოიმხ. ტ.აფაქიძე/

6. სხვადასხვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

ღია კენჭისყრით მომხრე- 14 და წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

2. მოისმინეს: განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ქეთევან ფიცხელაურმა წარმოადგინა ანგარიში 6(ექვს) თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს სოც საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა - ანგარიში დამაკმაყოფილებელია. მომავალში გასათვალისწინებელია ანგარიშზე თანდართული იყოს ღონისძიებების მიხედვით დახარჯული თანხების შესაბამისი ხარჯთაღრიცხვები.

შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა წლის ბოლომდე თუ არის დაგეგმილი ღონისძიება - რაიონის საუკეთესო, ვეტერან სპორცმენებთან შეხვედრა.

შეკითხვას პასუხი გასცა მერის მოადგილემ ბერდია ჩანქსელიანმა - როგორც კი დამთავრდება სპორტული კომმპლექსის რეაბილიტაცია, დაგეგმილია სერიოზული ღონისძიების ჩატარება და ამ ღონისძიებაზე გათვალისწინებულია ვეტერანი სპორცმენების მოწვევა.

აზრი გამოთქვა: გიორგი გაზდელიანმა - მადლობა გადაუხადა მომხსენებელს წარმოდგენილი ანგარიშისთვის და აღნიშნა, რომ მცირე ბიუჯეტის ფარგლებში საკმაოდ ბევრი ღონისძიებაა ჩატარებული. ბოლოს შენიშვნის სახით აღნიშნა, რომ გადაუდებელი ღონისძიებების შემთხვევაში თანხის გამოყოფაზე უნდა ხდებოდეს წინადადების შემოტანა მერიიდან და საკრებულოს შესაბამისი თანხმობის მიღება.

სხდომის წევრთა ხმათა უმრავლესობით მომხრე 14 და წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ 2022 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.

3. მოისმინეს: მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლევან ლიპარტელიანმა წარმოადგინა ანგარიში - 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ყველა პროექტზე. გაშიფრა, რომელი იყო გარდამავალი პროექტი, სად იყო ხარვეზები და რა ღონისძიებები გატარდა სამსახურის მიერ.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა შეკითხვები დაუსვა მომხსენებელს კულტურის სახლის პროექტთან დაკავშირებით, კერძოდ ხაზი გაუსვა კოშის სიმაღლეს. მომხსენებელმა განმარტა, რომ კოშკის სიმაღლე აიწევდა ორი მეტროთი.

გიორგი გაზდელიანმა შეკითხვა დაუსვა მომხსენებელს წინა წლის მიხედვით ამ პერიოდისთვის მეტია თუ ნაკლები ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა წელს უფრო ადრე ჩამოირიცხა თანხები და ამან ხელი შეუწყო პროექტების დროულად შესრულებას.

მოისმინეს: დალი ტვილდიანმა ჩამოთვალა რცხმელურის თემში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი პრობლემები და მოითხოვა ამ საკითხების შესრულება მიმდინარე წელს. .

მერის მოადგილემ ბერდია ჩანქსელიანმა განმარტა, რომ დასახელებული პრობლემების ძირითადი ნაწილი, რომლებიც შეეხება წყლებს მოგვარდება მიმდინარე წელს. ის სამუშაოები, რომლებიც წელს ვერ შესრულდება გათვალისწინებული იქნება მომავალ წელს ძირითად პრიორიტეტებში.

ზურაბ ონიანმა შეკითხვა დაუსვა მომხსენებელს, თუ რატომ შეჩერდა გზა ჟახუნდრის ცენტრიდან ჩუკულამდე და სხვა სოფლამდე.

მომხსენებელმა პასუხად განმარტა, რომ უამრავი პროექტია გაგზავნილი შესაბამის სამინისტროში დაფინანსებაზე, მაგრეამ ზოგი დაფინანსდა და ზოგი არა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა შეკითხვა დასვა, თუ რამდენია თანხა შემოსული ადგილობრივ ბიუჯეტში სახქციებიდან.

მომხსენებელმა უპასუხა, რომ ჯერ პროექტები არ დასრულებულა და შესაბამისად ჯარიმებიც არ არის.

სხდომის წევრებმა სხვა შეკითხვებიც დაუსვეს მომხსენებელს. მან ამომწურავი პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

საკრებულოს წევრებმა ღია კენჭისყრით: მომხრე - 14 და წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ანგარიში - 2022 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დადებითად

3. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტები:

1. . ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის დაბა ლენტეხის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვიფეხა პირუტყვის კერძო საკუთრებაში არსებული ფართის გარეთ ყოლის აკრძალვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N-07 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, განაკვეთის განსაზღვრის და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 მარტისN-11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინისტრაციის ზედამხედველობის სამსახურმა მოგვცა შენიშვნები აღნიშნულ დადგენილებებზე, ამ შენიშვნებს ვითვალისწინებთ და წარმოდგენილია დადგენილებები სწორი ფორმით.

სხდომის წევრთა ხმათა უმრავლესობით მომხრე 14 და წინააღმდეგი -0 მიიღეს გადაწყვეტილება დამტკიცდეს დადგენილებები წარმოდგენილი სახით.

5.სხვადასხვა.

1.მერიის ინფრასტრუქტურის, არქიტექტურის და სამშენებლო ზედამხედველობის სამსახურის უფროსმ ლევან ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უნდა შევიდეს ცვლილება ,,2022 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხაედაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის Nბ-97220891 განკარგულების N1 დანართში. კერძოდ მოსახლეობის თხოვნით დაგეგმილი პროექტი სოფ. ხაჩეშში შეიცვალოს შიდა გზის რეაბილიტაციით.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით - მომხრე -14 და წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: შევიდეს ცვლილება ,,2022 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში სოფლის მხაედაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის Nბ-97220891 განკარგულების N1 დანართში.

2. მოისმინეს: საკრებულოს სოც. საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ონიანმა აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოსულია მძიმე სენით დაავადებული მარინა მარგველანის განცხადება ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. მას სჭირდება გამოკვლევები 1475 ლარის ღირებულების.იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ოჯახს არ აქვს არანაირი შემოსავალი წინადადებით შემოვდივარ ეთხოვოს მუნიციპალიტეტის მერს სარეზერვო ფონდიდან გამონაკლისის სახით გამოყოს მარინა მარგველანის დასახმარებლად გარკვეული თანხა. აღნიშნულ წინადადებაზე გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია მერის წინადადება, მაგრამ ავადმყოფს აქვს დროის პრობლემა, ამიტომ დავუშვათ გამონაკლისი და ჩვენი მომართვის საფუძველზე ვთხოვოთ მერს აღნიშნული ბენეფიციარის დახმარება.

საკრებულოს წევრმა დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზურაბ ონიანის წინადადებას.

სხდომის ბოლოს ა(ა)ი.პირებში დასაქმებულ პირებზე ისაუბრა საკრებულოს წევრმა ნინო ბენდელიანმა. მან გულის ტკივილი გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდები არიან უმუშევრები და ამ დროს ბევრი პენსიონერია დასქმებული აიპიებში.

პასუხად სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მზად არის შექმნას კომისია. კიდევ ერთხელ გადამოწმდეს აიპიებში დასაქმებულები და გადაიდგას სწორი ნაბიჯები.აღმოიფხვრას ყველა ის ხარვეზი, რომელიც შეკითხვას იწვევს.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დამთავრდა 15 საათზე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე